ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი # 10

ქ. ონი 21. 11. 2023 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარე ლევან ორდინიძე.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ლევან ორდინიძე, ბესიკი მაისურაძე, თამილა არჩვაძე, თორნიკე მეტრეველი, ფრიდონ გოგრიჭიანი, მერაბ ბიჭაშვილი, ნონა მაისურაძე, ნინო გობეჯიშვილი, ვლადიმერ ბერელიძე, ეკა მაისურაძე.

არ ესწრებოდნენ: გიორგი მეშვილდიშვილი, თამაზ მეტრეველი, ნოდარ ბურდილაძე.

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1.ონის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის განხილვა

/მომხს. ლ. ორდინიძე-კომისიის თავმჯდომარე/

2. ონის მუნიციპალიტეტის 2024 წლის პროგრამული ბიუჯეტისა და 2024-2027 პრიორიტეტების დოკუმენტის შესახებ

/მომხს. ლ. ორდინიძე-კომისიის თავმჯდომარე/

3.ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხს. ლ. ორდინიძე-კომისიის თავმჯდომარე/

4. ონის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ, ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 მარტის #14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხს. ლ. ორდინიძე-კომისიის თავმჯდომარე/

მოისმინეს: 1. ონის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის განხილვა

/მომხს. ლ ორდინიძე-კომისიის თავმჯდომარე/

მომხსენებელმა სხდომას გააცნო ონის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი. გამოითქვა რეკომენდაცია მოსახლეობის მოთხოვნიდან გამომდინარე, ონი-საჩხერის მიმართულებით მარშრუტის დამატების შესახებ. ასევე, გარე განათების მოდერნიზების მიზნით ენერგოეფექტური ლედნათურებით ჩანაცვლდეს არსებული გარე განათების ნათურები, კომპიუტერების შესაძენი თანხა 25 300 ლარი არასაკმარისია, ვინაიდან საკრებულოში ამ ეტაპისთვის გამიზნული ოთხი კომპიუტერი არასაკმარისია, საჭიროა მინიმუმ შვიდი კომპიუტერი, ასევე, მინიმუმ ორი კომბოპრინტერი, საჭიროა, საოფისე ინვენტარის, კერძოდ სკამების შეძენა.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, სხდომაზე გამოთქმული შენიშვნები გადაეგზავნოს საკრებულოს თავმჯდომარეს შემდგომი რეაგირებისათვის.

მოისმინეს: 2. ონის მუნიციპალიტეტის 2024 წლის პროგრამული ბიუჯეტისა და 2024-2027 პრიორიტეტების დოკუმენტი.

/მომხს. ლ ორდინიძე- კომისიის თავმჯდომარე/

ლ. ორდინიძემ სხდომას გააცნო ონის მუნიციპალიტეტის 2024 წლის პროგრამული ბიუჯეტისა და 2024-2027 პრიორიტეტების დოკუმენტის შესახებ

კომისია რეკომენდაციას აძლევს საკრებულოს, საკითხი დაბრუნდეს მერიაში შენიშვნებით.

მოისმინეს: 3. ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხს. ლ. ორდინიძე-კომისიის თავმჯდომარე/

კომისიის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ.

კომისია გასცემს რეკომენდაციას, საკითხი შეტანილი იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში განსახილველად.

მოისმინეს: 4. ონის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ, ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 მარტის #14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხს. ლ. ორდინიძე-კომისიის თავმჯდომარე/

ლ. ორდინიძემ სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ, ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 მარტის #14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

კომისია გასცემს რეკომენდაციას, საკითხი შეტანილი იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში განსახილველად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ლევან ორდინიძე

ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე